№ 77 9 მკათათვე, ოთხშაბათი 1866—1875 9 მკათათვე, ოთხშაბათი № 77

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მეედანზე, ულოლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

როგორ იმართლებენ თავს?

ერთი თავის გასამართლებელი მიზეზთაგანი, რომელსაც უფრო ხშირად და ბევრის მღვდლისაგან გაიგონებთ, არის მათი სიღარიბე. რომელსამე ნასწავლს მღვდელს რომ ჰკითხოთ:

— რატომ ასე და ასე არ იქცევიო? ის გიპასუხებს:

— რას ამბობ? ჩვენი თავის რჩენა გაგვჭირვებია და მაგრე მოსაქცევათ ვილასა სცხელაო! ჩვენ თვითონ არა გვაქვს რა, მრეველიც არას გვაძლევს და ამისათვინ იძულებულნი ვართ ჩვენც ისე ვიმუშაოთ ლუკმა-პურის მოსაპოვებელათ, როგორც გლეხები მუშაობენ. აბა ამ მდგომარეობაში რაღა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობა უნდა გვაგონდებოდეს?!

ამ მიზეზზედ პასუხის მისაგებად საკმარისია მოვიყვანოთ ზოგიერთა მუხლი უ. მესხის სტატიიდგან:

„ჩვენებური სამღვდელოება რომ მდიდარი იყოს, გასაკვირვალიო იქნება. ამ შემთხვევაში ქართული ანდაზა შეიძლება მოვაბრუნოთ და ასე ვსთქვათ: „როგორიც ერი, ისეთი მღვდელი“. ერი ღარიბია, სამღვდელოებაც ვერ იქნება მდიდარი. მაგრამ ხალხთან შედარებით რომ ვსთქვათ, საზოგადოთ ჩვენი სამღვდელოება სრულებით ღარიბი არ არის. ისეთს მღვდელს ვერა ნახამთ, რომ რაც უნდა დიდი ოჯახი ჰყვანდეს, რჩენა უჭირდეს; ხშირად უბრალო სოფლის მღვდელი ორსა და სამს შვილს სასწავლებელში ზრდის მაშინ, როდესაც იმის გაჰომკვებს გლეხს უკიდურეს სიღარიბისაგან ლუკმა-პურის შოვნაც უძნელდება. („დროება“ № 43 — „სამღვდელოების მდგომარეობა“).

ეს შენიშვნა უ. მესხისა სრულიად ფაქტი არის და მე ამას იმას დაუმატებ, რომ ბევრი მღვდელი არამცთუ მრეველთან შედარებით არის მდიდარი, არამედ ბევრს ქალაქის ჩასუქებულს ვაჭარსაც არ ჩამოუვარდება სიმდიდრით. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, რამდენათაც უფრო მდიდარია მღვდელი, იმდენათ უფრო ფუფუნებაში ატარებს ცხოვრებას და საზოგადო კეთილს საქმეს კი სრულიად ივიწყებს.

ბევრი გვიპასუხებს: „მღვდელები მისთვის არ არიან ღარიბები, რომ თვითონაც ისე მუშაობენ, როგორც გლეხები, — დღე და ღამ არა აქვთ მოსვენებაო. იმათ რომ თავიანთ საკუთარს საქმეს თავი დაანებონ და შეუდგნენ საზოგადო კეთილ საქმეს, ე. ი. ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობას, იმათზედ ულარიბესი ჩვენში ალარაევინ იქნება, მისთვის რომ მრეველი, როგორც ზევით იყო ნათქვამი, არას აძლევს, როგორც შეუძლებელი, აგრეთვე შემძლებელიც; შემძლებლები რომ მაინც რიგიანათ აძლევდნენ მღვდლებს თავიანთ ხვედრს, მაშინ მღვდლები უთუოთ ეცდებოდნენო, რომ ეზრუნათ მრეველის ცხოვრებაზედ იმ სასოებით, რომ მაშინ ყველანი რიგიანათ მისცემენ თავიანთ ხვედრსო. მაგრამ მღვდლებს ძალიან გული აქვთ ნატკენი მრეველისაგან; ხედამენ, რომ მიცემა და მიუცემლობა შეძლებაზედ არ არის დამოკიდებული; ჩვენი ხალხი დაბალ ხარისხზე დგას მღვდლის პატივის ცემა არ იცის და ამისთვის მღვდლებსაც გული აყრილი აქვთ მათზედო!“

მართალია, მღვდლები მისთვის არ არიან ღარიბები, რომ თვითონაც ისე მუშაობენ, როგორც გლეხები. მაგრამ სრულის დარწმუნებით ვიტყვი, რომ მღვდლები ბევრით აწინდელზედ კარგათ იცხოვრებენ, რომ დაუტევონ საკუთარი საქმეები, თუ კი ისინი უშლიან მათ, და შეუდგნენ საზოგადოს, ე. ი. ეცადნენ გაუმჯობესონ მრეველის ცხოვრება, მოაშორონ მათ ის მყვლეფელები, რომლებიც თუმანს თვეში მანეთათ და ორ მანეთათ ასესხებენ და უჩვენონ გზა რიგიანი ცხოვრებისა.

ჩვენი ხალხი ისეთი გულ კეთილია და უხვი, რომ თუ კი აბადია რამე, არავისთვის არა შურს რა; მაგრამ რა ქნას საწყალმა, რაც არა აქვს რა, ვის რა უნდა მისცეს?

რაიცა შეეხება მას, რომ ზოგიერთა შემძლებლებიც ეხლა რიგიანათ არ აძლევენ მღვდლებს თავიანთ ხვედრს, ეს სრულებით მათის სიბრიყვით არ აიხსნება.

ჩვენი ხალხი იმოდენათაც დაბალ ხარისხზე არ არის, რომ სრულებით არ ესმოდეს: ვინ რისთვის რას ართმევს მას. ბევრჯელ ჩემის ყურით გამიგია, რო მკოდის პურის თხოვნაზედ მღვდლისთვის ეპასუხებინოს გლეხს: „რას მიკეთებ—რაში უნდა მოგცე კოდი პურიო? თვითონ თქვენც კარგათ იცით, რომ ჩემთვის დიდი ხანია არც სახლი გაგინათლამთ, არც ყმწვილი მოგინათლამთ და არც სხვა რამ გაგიკეთებიათ; თქვენ მუქთათ მიგაქვთ ჩემგნით კოდი პური“.

აქედგანა სჩანს, რომ ხალხს ის ჰაზრი აქვს შედგენილი მღვდლებზედ, რომ მითომ ისინი არიან დანიშნულები მარტო სალმრთო წესების შესასრულებლათ, პურსა და ფულსაც მისთვის ართმევენ, და არა მისთვის, რომ მღვდლები გარდა სალმრთო წესების შესრულებისა, არიან კიდევ მართველნი მათის ცხოვრებისა, მათი ხელთ-მძღვანელები. მაგრამ როგორ უნდა შეადგინონ ამ გვარი ჰაზრი მღვდლებზედ, როდესაც ამ გვარს მათში ვერას ხედამენ? უჩვენონ მრეველს ამ გვარათ თავი და დაეარწმუნებ მათ, რომ მაშინ ორივე მხარე სრული კმაყოფილები დარჩებიან ერთმანეთისაგან.

თუ გინდა რომ სიბრიყვითაც მოზდიოდეთ გლეხებს ისა, რომ მღვდლებს შესაფერს პატივს არა სცემენ და ხვედრსაც რიგიანათ არ აძლევენ, მაინც ვინ იქნებიან ამაში

ფელეტონი

ჩინური რომანი

ერთს ინგლისურს გაზეთში გადმოთარგმნილია ოფიციალური პეკინის გაზეთიდამ ქვემო დაბეჭდილი რომანი, რომელიც ჩინეთის საუკეთესო რომანისტს — ლიონ-ჩი-ფუს ეკუთვნის.

ლიონ-ჩი-ფუ ისეთივე გამოჩენილი და ცნობილი მწერალია ჩინეთში, როგორც, ვსთქვათ, ინგლისში დიკენსი, საფრანგეთში ვიქტორ ჰიუგო, გერმანიაში შილლერი. გინა ჩვენში რუსთველი.

ის ეკუთვნის ჩინეთის მწერლობის ახალს შკოლასა: თავის თხზულებების შინაარსს ნამდვილი ცხოვრებიდამ იღებს და არა ისეთს მოვლენათა და შემთხვევებს, რომელიც დედამიწაზე არ ხდება და მხოლოთ პოეტის ფანტაზიის ნაწარმოებია.

თავის სიცოცხლეში ლიონ-ჩი-ფუს რვაას-ოც-და-ხუთი რომანი თუ მოთხრობა დაუწერია და 2,426 ფილოსოფიური ჭეშმარიტება წარმოუთქვამს!...

ნუ გაგიკვირდებათ: წაიკითხეთ ეს პატარა რომანი, რომელსაც ჩვენ აქ მხოლოთ ჩინეთის ლიტერატურის მინუშად ვბეჭდავთ, და მაშინ იტყვით, რომ ამდენი რომანების დაწერა ისე ძნელი არ უნდა იყოს, როგორც ერთი შეხედვით გეჩვენებათ. აი, თვითონ ეს რომანი:

როგორ გათხოვდა ოუალი?

წინასიტყვაობა

ქალები ათასნაირად ირთავენ ქმრებს, რომ შვილების დედათ გახდნენ. აქ მოყვანილია ამბავი — თუ ერთი ახალგაზდა ქალი როგორ გაიტაცა გულმა და როგორ შეირთო იმან თავის ქმარი. ასე არ უნდა მოიქცეთ.

თავი I

ოუალი გემრიელი ლუკმა იყო. შეიძლება ვსთქვათ, რომ ის იყო კინწზე ჩამოკიდებული ყვავილი. იმის ტანადობასა და მიხრა-მოხრას წკეპლა შეჰნატრიდა. პატარა ფეხები წითელ ტიულპანის ყვავილს უგავდა. ამასთანავე ოუალი იყო ჭკვიანი, ლაზათიანი; უყვარდა ლაპარაკი და ხუმრობა. ჩინებული კერვა და ქარგვა იცოდა. თუმცა ყველა ეს ღირსება ჰქონდა, მაგრამ თექვსმეტ წლამდი მაინც გაუთხოვარი დარჩა.

დადგა გაზაფხული. უვავილებმა თავის ფოთლები აათამაშეს; ტყე-ველი ამწვანდა; სკებმა ბზუილი დაიწყეს; პეპლები დაფრინაედნენ. ყველა ხარობდა გარშემო.

ოუალი იჯდა ბალკონზე და ზარმაცად აქნევდა მარაოს. უეცრად ქვევიდამ რაღაც ხმაურობა მოესმა. ახალგაზდა ქალმა შესწვიტა კრესლოში ქანაობა და ქვევით ჩაიხედა: მწვანე მინდორზე ორი კაცა თამაშობდნენ და გაგრძელებით კნაოდნენ: მიაუუ! მიაუუ!

თავი II

ამ ხილვამ ოუალის ოცნება აათამაშა. ქალი დაფიქრდა. წარბები მოეკმუხვნა და ფრჩხილებს კვნეტა დაუწყო. ბულის ცემა მოემატა.

— ეს კატები ჯერ ერთის წლისანი არ არიან, მაგრამ თავის საკუთარი ბუდე აქვთ; მე კი ჯერ ქმარი არა მყავს! ჯავრით მოვკვდები! ჯავრით მოვკვდები! ჩემი უფროსი და ლამაზია; მაგრამ მეც ლამაზი ვარ! რამდენი ხანია ის გაათხოვეს და მე კი, როგორც ფრინველი გალიაში, ისე ვარ გამომწყდეული. ჩემ დას ლამაზი ქმარი ჰყავს, რომელსაც ხოსინჩე ჰქვია. არა, დიდ ხანს ასე ცხოვრება არ შეიძლება. მეც მინდა, რომ როცა სასეირნოთ წამიყვანებენ, ჩემ კლესლოს უკანაც ქმარი მომდეედეს. დედა ჩემს ეეტყვი. მუშაობა მომბეზრდა! მუშაობა მომბეზრდა!

თავი III

ბავიდა გაზაფხული. ოუალის ბიცოლა ავათ გახდა. დედა იმის სანახავად წავიდა. ოუალიმ მიხურა კარები და ბალში დაბრუნდა. ამ დროს ვილამაც დაარაკუნა. კარებში ხოსინჩე იდგა.

ოუალმა მოუტანა ფინჯნით სუნნელოვანი ჩაი, წინ დაუდგა და, პატივის ნიშნად, ორი თითი მაღლა აუწია. ხოსინჩე ისეთის თვალებით

დამნაშავენი, თუ არა მღვდლები? ბანანათლონ ხალხი და მაშინ პატ-ესაც მისცემენ, ხვედრს პურსაცა და ფულსაც.

მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მღვდლებს ბევრათაც არ უშლიან შინაური საქმეები, რომ იზრუნეონ საზოგადო კეთილ-საქმისთვის. მართალია, ჩვენი მღვდლები ძალიან არიან შეპყრობილნი შინაური საქმეებით, რომელზედაც, მარტო მათის ჭეშრით, არის დამოკიდებული მათი ცხოვრება, მაგრამ ბევრი თავისუფალი დროცა აქვთ, ბევრს ისეთს უბრალო საქმეში ატარებენ აგრეთვე დროებას, რომ კაცმა რო რიგიანად შეხედოს, ჩალათ არა ღირს. რომელიმე საზოგადო კეთილ-საქმისთვის კი, რომელიც მათთვინაც დიდი სასარგებლოა, ორი ნაბიჯის გადადგმა ეზარებათ, ორი სიტყვის თქმა შურთ; საქმეც მაშინ გამოუჩნდებათ ხოლმე და სილარიბეც მაშინ აგონდებათ.

ჯიმითელი

(მაგრძელება)

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

☐ თან-და-თან მოგვედის ახლა ამბავი იმაზე — თუ ამ უკანასკნელ წვიმებს რამდენი ზიანი მიუცია ჩვენი ქვეყნისათვის.

ქაზიყიდამ გვატყობინებენ, რომ კარგის მოსავლის იმედით გამხნევებული ხალხი ახლა ისევ დაღონდაო, რადგან წვიმებმა თითქმის მთელი ნამუშევარი გაუფუჭაო. ბლეხები ძველებურადვე ემზადებიან აქეთ-იქით გადაკარგვას თავის გამოსაკვებად, რადგან აუცილებელი შიმშილი მოელისთო. ამ ორი კვირის წინათ პური მანეთად და ორ შაურად ყოფილა და ახლა და ახლა შვიდ-რვა აბაზ ნაკლებ ვერ იყიდით თურმე. ბაჭრები ახლავე შესდგომიან თავიანთებურ თადარიგს..

ზემო-იმერეთის ბევრ ალაგას ისეთი ნიალვარი ყოფილა, რომ ყანები წაულეკავს, ბევრი გლეხისთვის სახლები, ბოსტანი, თუ პირუტყვი წაურთმევია და გაუფუჭებია.

ჩვენში რომ არხები იყოს გაყვანილი, ამისთანა შემთხვევით ხომ ვერ შეეშინდებოდით და არ ეშიანებდით? წყალდიდობისა და წვიმიანობის დროსაც გვიხსნიდა ეს არხები და უწვიმობის დროს ხომ რალა...

☐ ვბეჭდავთ წიგნს, რომელიც ერთი თფილისელი მოქალაქისაგან მოგვვიდა:

„ᲐᲠᲪ ᲛᲐᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲧᲐᲠᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲐᲠᲘᲚᲛᲝᲗ“, — სწორეთ ჩვენი ქალაქის ბედიც ისე გამხდარა: თუმცა გვეგონა, რომ საიმედო და მოსაწონი პირნი აირჩიეთ ქალაქის მოთავეებად, მაგრამ აგერ ნახევარი წელი გავიდა და არაფერი კი არა სჩანს რა. ერთ ვილაც თათარს იჯარით აუღია მუშების ბილეთები და მთელი ქალაქი ხელში ჩაუჩრია; სამი ენის გაზეთები მოიღალნენ მასზედ ჩივილით და მისი უკანონო მოქმედების გამოცხადებით, და დღევანდლამდისინ ყურადღება არავინ მიაქცია! რა უნდა იყოს ამის მიზეზი?... რადგანაც თათარზედ ვლაპარაკობ, ერთ თათრულ ანდაზას მოვიყვან: „ᲐᲚᲚᲐ ᲑᲔᲗᲐᲠᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲐᲡᲜ!“ (უარესისაგან ღმერთმა დაგვიხსნას).

☐ ბურიიდამ გვწერენ, რომ ამწლის ეგზამენებმა დაგვარწმუნაო, რომ აქაურს სახალხო შკოლებში სწავლის საქმე ძალიან კარგათ მიდისო. განსაკუთრებით შესანიშნავიაო ამ მხრით ყველა ის შკოლები, რომელნიც თ. ᲐᲜᲢ. ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲘᲡ თაოსნობით არიან გამართულიო. ერთი ორი ამისთანა მზრუნველი რომ მისცა კიდევ აქაურ შკოლებს, ხალხის განათლება ერთი-ორად წინ წაიწევსო.

☐ ბაზეთის „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ სიტყვით, ჩვენს ქალაქში სდგება საზოგადოება, რომლის წევრებად ქალები არიან და რომლის მიზანი ის არის, რომ თათრის ქალებს დეხმარონ განათლების მიღებაში და სხვა და სხვა ისეთი საქმის მოძებნაში, რომლითაც იმათ თავის რჩენა შეეძლებათ.

☐ ᲐᲮᲐᲕᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲖᲓᲝᲙᲘᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ 25-ᲡᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ-ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲥᲐᲚᲐᲚᲔᲑᲝ ᲛᲣᲥᲗᲘ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲮᲣᲡᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲡᲣᲚ 28 ᲥᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ; ᲐᲛᲐᲗᲨᲘ — 12 ᲝᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲐ, 6 ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲡ 5 ᲡᲝᲛᲮᲘᲡ, 4 ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ 1 ᲠᲣᲡᲘ.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲩᲐᲛᲝᲘᲐᲠᲔᲡ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲗᲘᲗᲝ-ᲝᲠᲝᲠᲐ ᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲛᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲪᲐᲠᲪᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲓᲐᲘᲡᲥᲔᲚᲔᲡ ᲯᲘᲒᲘᲔᲑᲘ, ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐᲗ ᲛᲝᲣᲢᲧᲣᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲓᲐᲣᲗᲛᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ.

ᲔᲮᲚᲐ ᲙᲘᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲑᲠᲛᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲔᲑᲡ.

ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲗᲐᲛᲔ ᲞᲐᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲪ ᲓᲐᲐᲥᲕᲗ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘ, ᲙᲝᲕᲖᲔᲑᲘ, ᲫᲔᲬᲙᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲝᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲝᲥᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲚᲘᲡᲐᲡ ᲕᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲠᲩᲔᲕᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ, — ᲓᲐ ᲩᲐᲧᲘᲓᲘᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ.

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲡᲐᲛᲔ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ ᲨᲔᲛᲮᲕᲓᲐ ᲗᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘ ᲨᲔᲭᲔᲓᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲐᲫᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲧᲘᲓᲐ ᲕᲘᲗᲘᲠᲗ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ ᲑᲔᲭᲓᲘ ᲘᲝᲤ ᲤᲐᲡᲐᲓ. ᲐᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲪᲑᲘᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲔᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲢᲧᲣᲔᲑᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲔᲡ ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲔᲑᲘ:

ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲡ, ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲕᲔᲡ ᲮᲔᲚᲡ, ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲒᲐᲜᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲣᲩᲘᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲡ:

„ᲛᲔ ᲛᲘᲥᲕᲡ ᲝᲥᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ. ᲩᲔᲛ ᲮᲐᲖᲘᲗᲡ ᲛᲝᲒᲙᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲗᲣ ᲒᲠᲜᲓᲐ, ᲛᲝᲒᲧᲘᲚᲘ ᲗᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲐᲤᲐᲗ“ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ. ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲜᲯᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔᲡ, ᲛᲝᲔᲤᲬᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲡ ᲰᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ. „ᲠᲐ ᲘᲔᲤᲐᲗ ᲰᲧᲘᲓᲘᲡ! ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ; ᲕᲐᲚᲡ ᲐᲕᲘᲦᲔᲑ ᲓᲐ ᲣᲧᲘᲓᲕᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲑ. ᲡᲐᲓ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲢᲧᲣᲘᲚᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲜᲘᲗᲔᲑᲡ“! ᲓᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲤᲐᲡᲔᲑᲡ. ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲑᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲠᲐᲚᲨᲘ, ᲡᲐᲛ-ᲝᲗᲮ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ.

ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲩᲔᲛ ᲗᲕᲐᲚ ᲬᲘᲜ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲖᲔ), ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲝᲠᲘ ᲗᲘᲗᲝᲑᲠᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲛ-ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲐ.

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲖᲘᲡ, ᲗᲣ ᲝᲥᲠᲝᲐ? ᲨᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ.

— ᲠᲝᲑᲘ? ᲰᲔ! ᲔᲡ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲪᲣᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲐ, ᲘᲥᲘᲜᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲘᲖᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲑᲘ! ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲘᲜᲔ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲝᲑᲘ? ᲘᲥᲘᲜᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚ ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲐᲖᲘᲡ ᲘᲛᲒᲕᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ. ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲓᲐᲕᲐᲛᲚᲔᲕᲘᲜᲝᲗ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲢᲧᲣᲚᲡ ᲔᲐᲛᲑᲝᲜᲓᲔ, ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲝᲓᲔᲡ ᲘᲡ ᲛᲘᲥᲕᲜᲘ. ᲛᲐᲘᲛᲔ, ᲩᲔᲛᲝ ᲗᲐᲕᲝ! ᲐᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘ?

— ᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲗᲘ?

— ᲔᲡ ᲙᲘ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲔᲤᲐᲗ ᲬᲔᲘᲚᲘ. ᲔᲐ ᲔᲠᲗᲑᲚᲘᲐ ᲝᲥᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲤᲔᲠᲘᲚᲘ. ᲐᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲐᲙᲐᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲣᲗᲔᲘᲡᲨᲘ.

— ᲐᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ?

— ᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠ, ᲙᲐᲪᲝ, ᲨᲔᲜ! ᲗᲣ ᲛᲐᲒᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘ, ᲫᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲐᲢᲧᲣᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲘᲜᲛᲔ ᲛᲐᲛᲐᲫᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲮᲕᲓᲔᲡ! ᲭᲣᲗᲔᲘᲡᲨᲘ ᲠᲐᲛ ᲥᲜᲐ ᲰᲠᲝᲑᲘ? ᲨᲔᲜ ᲛᲔᲘᲒᲝᲜᲔ ᲗᲣ? ᲛᲘᲮᲐᲙᲐᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ; ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲔᲰᲔᲨᲐ ᲓᲐᲕᲙᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ Ა ᲛᲘᲜᲣᲢᲨᲘ ᲛᲔᲔᲘᲓᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ᲕᲐᲐᲘᲛᲔ, ᲫᲛᲐᲝ? ᲛᲔᲘᲢᲐ! ᲛᲔᲘᲢᲐ! ᲐᲠ ᲕᲧᲘᲓᲘ. ᲔᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲰᲐᲠᲣᲚᲘ, ᲔᲡ ᲡᲮᲕᲐᲛ ᲛᲐᲩᲣᲥᲐ. ᲗᲣ ᲒᲘᲜ-

---

უყურებდა ᲚᲣᲐᲚᲡ, თითქო ჩ ყლაპვა უნდოდა. იმან უთხრა:

— ᲐᲮᲚᲐ ᲐᲥ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ, ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲚᲣᲐᲚ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲮᲐᲠ.

ᲚᲣᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲘᲧᲕᲘᲠᲐ, ᲓᲐ ᲬᲐᲑᲐᲠᲑᲐᲪᲓᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲗᲥᲕᲐ:

— ᲓᲔᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲘᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ. ᲗᲣ ᲗᲐᲕᲡ ᲬᲐᲛᲝᲒᲕᲔᲡᲬᲠᲝ, ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲗᲮᲝᲕ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲘ ᲑᲐᲛᲑᲣᲙᲘᲡ ᲯᲝᲮᲘ ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲧᲐᲡ. ᲣᲐᲛᲑᲝᲑ ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲔᲑᲡ ᲨᲣᲜᲡ ᲣᲜᲐᲛᲣᲡᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲠᲖᲔ ᲓᲐᲕᲬᲔᲠ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ.

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲔᲨᲘᲜᲓᲐ, ᲗᲠᲗᲝᲚᲐ ᲓᲐᲐᲬᲧᲔᲑᲘᲜᲐ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲛᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲐᲛᲑᲝᲗ ᲓᲔᲓᲐᲡ.

ᲗᲐᲕᲘ IV

—

ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲑᲘᲪᲝᲚᲐᲡᲐᲒᲐᲜ. ᲘᲛᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲚᲐᲪ ᲐᲦᲔᲚᲔᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

— ᲠᲐ ᲓᲐᲒᲔᲛᲐᲠᲗᲐ? ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲛᲙᲪᲠᲛᲐ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲛᲐ.

— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲢᲘᲠᲠᲚᲘ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔ; ᲛᲔᲪ ᲛᲝᲛᲔᲠᲘᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲘᲢᲘᲠᲔ.

ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓᲐ. ᲚᲠᲜᲘᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲡᲮᲓᲜᲔᲜ ᲔᲐᲮᲨᲛᲘᲡ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲐᲓ. ᲜᲐᲕᲐᲮᲨᲔᲕᲡ ᲚᲣᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲬᲚᲔᲚᲐᲡ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲒᲐᲐᲜᲩᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲛᲝᲔᲐᲠᲓᲐ:

— ᲨᲔᲜ ᲢᲧᲣᲘᲚᲡ ᲐᲛᲑᲝᲑ! ᲪᲠᲣᲝᲑ! ᲐᲥ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ! ᲕᲘᲡᲘᲐ ᲔᲡ ᲧᲐᲚᲘᲝᲜᲘ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲗᲮᲝᲕ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲐᲛᲑᲣᲙᲘᲡ ᲬᲙᲠᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲪᲔᲛᲐᲡ!

ᲮᲝᲡᲘᲜᲩᲔᲛ ᲯᲔᲠ ᲗᲕᲐᲚᲘ-ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲣᲧᲐᲠᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲣᲨᲕᲘᲠᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲣᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲖᲘᲓᲐ.... ᲨᲘᲜᲯᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲢᲧᲓᲐ...

ᲗᲐᲕᲘ IV

—

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ, ᲓᲘᲚᲘᲗ, ᲓᲔᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲩᲐᲘᲪᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ; ᲗᲛᲔᲑᲘ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲐᲘᲪᲐᲠᲪᲜᲐ, ᲨᲘᲒ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲥᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲙᲕᲗᲐ. ᲒᲐᲜᲫᲠᲐᲮᲕᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ ᲡᲐᲜᲘᲜ-ᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲗᲮᲝᲕᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ. ᲚᲣᲐᲚᲘ ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ. ᲛᲐᲕᲖᲔ ᲗᲛᲔᲑᲡ ᲘᲒᲚᲔᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲡᲢᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲪᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ. ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ — ᲜᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ. ᲜᲝᲠᲘᲛ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ. ᲘᲛᲐᲜ ᲣᲗᲮᲠᲐ:

— ᲜᲔᲚᲐ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ, ᲓᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲘᲢᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ. ᲠᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲨᲙᲐᲠᲝᲗ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ? ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲓᲐᲠᲓᲔᲚᲘ ᲛᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲮᲝᲡᲘᲜᲩᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲪᲝᲚᲡ ᲔᲫᲔᲑᲓᲐ. ᲓᲐᲔ, ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲡ ᲐᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲪᲝᲚᲐᲓ. ᲐᲠᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ: ᲝᲠᲘ ᲓᲐᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲡᲐᲯᲝᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝᲑᲐᲛᲓᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲐ ᲘᲛᲐᲜ ᲮᲝᲡᲘᲜᲩᲔ: ᲘᲛᲘᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲨᲘ ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲣᲙᲠᲐᲗ, ᲤᲐᲜᲠᲔᲑᲡ ᲜᲣ ᲐᲕᲐᲜᲗᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲜᲣᲠᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ. ᲚᲣᲐᲚᲘ ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ. ᲛᲐᲕᲖᲔ ᲗᲛᲔᲑᲘ ᲘᲒᲚᲔᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲡᲢᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲪᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ. ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ — ᲜᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ. ᲜᲝᲠᲘᲛ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ. ᲘᲛᲐᲜ ᲣᲗᲮᲠᲐ:

— ᲜᲔᲚᲐ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ, ᲓᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲘᲢᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ. ᲠᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲨᲙᲐᲠᲝᲗ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ? ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲓᲐᲠᲓᲔᲚᲘ ᲛᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲮᲝᲡᲘᲜᲩᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ

და, მეცა ერწამ, მეეიყვანო, ეინც მაჩუქა.

— მეცა, კაცო! ვიყიდი, ჯერ კარგათ დავათვალიერო.

— რა დათვალიერება უნდა, ძმაო! მიხაკა ფალშივს რას აკეთებს, რომ ეგი გაეკეთებია?

— თუ ძმა ხარ, ნუ მომატყუებ და სხომისაც შენგან ვიყიდი.

— დედაა! რას მ ჩივი, კაცო! რჯულის მადმა, ხვეთის მადმა და ანგელოზთების მადმა, თაგვი არ მომიკვდება, დედალი არ წამიწყდება და მამალი არ მომიკეტება ოქრო არის. რომ არ გჯერა, რა უყო! ათი თუმანი მიცა ჩემმა ხაზეინმა და პროტოი რეზა იქნება!...

მყიდველი აძლევს ფულს.

— ესეც იყიდე, თუ გინდა. ხუთ მანეთათ ღირს, ხუთ ზიარებას არ გეფიცები, მარა თვარ გაქ ფარები, რამდოლიც გაქ, ის მომეცი და ხვეი შენზე იქნება. სამი მანეთი მომე ახლა და დანარჩენი მერე მომე, თუ გინდა. რომ ჩამოხვალ ჭუთეის, მე მიკითხე და ყველა გასწავლის.

— არა, ძმაო, ახლა ვერ ვიყიდი მეტს, სულ არ მაქ ფული.

— შენი ნებაა! მაინც არ ვყიდი ამა'.

ასე ამ ნაირად, ამ ღამეს (ეს იყო წასული თვის 24-ს. ამ დღეს, მის ბედზე, ფოთში მიმავალ მატარებელს არ ჩამოუველია და მგზავრები მრთელი ღამე სტანციაზედ ვიყავით) ორი-სამი მოატყუვილა, ერთი დუქანი გასტეხა და ხუთმეტი მანეთი ფული გამოიტანა, სამი საათი მოპარა მძინარე ურიებს (რომლებთაგან ერთმა გაუგო, ხუთი მანეთი მისცა და დაიხსნა) და მოცხრილა ჭუთაისისკენ. მეორე დღეს დაეჭირათ ეს კაცი, რომელიც გამოტყდა თურმე და ეთხოვა სტანციაზედ წამიყვანეთ და მივსცემ იმ ურიებს თავის საათებსო. სტანციაზედ მოეყვანათ, მაგრამ უეცრად ქაფურივით გაპაროდათ თვალიდამ.

საჯავახელი

რუსეთი

✠ მართებლობას მიუღია მხედველობაში, რომ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და სოფლებში ვიღაც მატყუარა ხალხი დაიარება, ვითომ იერუსალიმიდამ ვართ ჩამოსულია და ფულებს აგროვებენ ეკკლესიების ასაშენებლადა; ამის გამო, როგორც ისმის, ახალი კანონი გამოვა, რომლითაც ყველას აღკრძალული ექნება ეკკლესიების ასაშენებელად ფულების მოგროვება; ამის ნაცვლად თვითონ ეკკლესიებში იქნება კრუჭკები, რომელშიაც მსურველს შეუძლია ჩაგდოს ამ საქმისათვის ფული.

✠ იმ ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებელად, რომელნიც სასამართლოები გამოიხმობენ ხოლმე ქალაქებში მოწმებად და რომელთაც სიღარიბის გამო, ძალიან ხშირად დიდ გაჭირებაში ვარდებიან, უნდათ, ქალაქებისა და ერობის ხარჯით, ისეთი სახლები გამართონ რუსეთში, სადაც ნაფიც მოსამართლეებ ა და მოწმეებს შეუძლიანთ დროებით იცხოვრონ, სანამ სასამართლო იმათში ჰაჭიროებს.

✠ ამბობენ, პეტერბურღში იხსნება სტენოგრაფიის შკოლა, ე. ი. ისეთი შკოლა, რომელშიაც ერთგვარი ნიშნებით ჩქარა წერას ასწავლიან.

✠ რუსულს გაზეთებში იწერებიან, რომ პეტერბურღის ყველა კლუბებმა გადაწყვიტესო თითო-თითო საღამო ან ბალი გამართონ და აქედამ შემოსული ფული ახლად გადამწვარი მარმანსკის მცხოვრებლების სასარგებლოთ შესწირონო.

✠ პეტერბურღის ფრანცუზული გაზეთი აცხადებს საფრანგეთის ელჩის წიგნს, რომელშიაც ღენერალი ლეფლო იწერება სამხრეთ საფრანგეთის უბედურებაზე და სთხოვს ყველა ფრანცუზებს, რომელნიც რუსეთში ცხოვრებენ, რითაც შეუძლიანთ შეეწიონ გაჭირებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ თავიანთ მოძმეებსა.

✠ ქ. სესპუხოეიდამ (მოსკოვის გუბერნიაშია) იწერებიან ერთს რუსულს გაზეთში, რომ გასული თვის 25-ს იქაური ჩითის ფაბრიკის მუშებს თავი დაუნებებიათ მუშაობისთვის, რადგან ფაბრიკის პატრონი არ დათანხმებულა, რომ იმათთვის დღიური ქირა მიემატნა და სინამ თავისას არ შეასრულებენ, მანამ არ უნდათ ფაბრიკაზე ხელ-ახლად დაიწყონ მუშაობა.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ფრანცუზული გაზეთები იმ უბედურების აღწერით არის გავსებული, რომელიც სამხრეთ საფრანგეთს ეწვია. მარშალი მაკ-მაჰონი დაზიანებული დეპარტამენტებიდამ დაბრუნებულა ვერსალში და ახლა მთავრობას იმაზე აქვს თურმე მოლაპარაკება — თუ რამდენი ფული გადასდგან იმ დეპარტამენტებისთვის, რომელნიც წყალმა გააფუჭა. ადრე სწერდნენ, რომ სამასი მილიონი ზიანი არისო; ახლა კი ოფიციალურს გაზეთებში იწერებიან, რომ ას მილიონზე მეტის არ იქნებაო. მთავრობას უნდა, სხვა შემსუბუქებას გარდა, ოცი მილიონი გადადგას სახელმწიფო ხაზინიდამ ამ მცხოვრებლების დასარიგებელად.

ქერძო ხელის-მოწერით მოგროვებული ფული დიად დიდ შემწეობას მისცემს, უეჭველია, დაზიანებულებს. მარტო ერთ კომიტეტს, რომლის თავ-მჯდომარედ მაკ-მაჰონის ცოლია, ივნისის 21-მდი 820,000 ფრანკი მოუგროვებია; ყველა გაზეთების რედაქციაში ხელის-მოწერაა გამართული და ისეთი გაზეთი არ არის, რომ 20—50 ათასი ფრანკი არ მოეგროვებინოს. ნაციონალური ქრებიის დეპუტატებს 80,000 ფრანკი შეუწირავთ, რომელშიაც 50,000 მარტო რესპუბლიკელ დეპუტატს ქრემიოს მოუწერია. ყველა ქალაქებს, სოფლებს შეუწირავთ შეძლებისა დაგვარად. საფრანგეთის ტახტის მეძიებლებს შეუწირავთ: გრაფ შამბორს — 15,000 ფრანკი, ნაპოლეონის ვაჟს — 6,000 და დედამისს ევგენიას — 4,000 ფრ., თითოეულ ორლეანის პრინცს ხუთ-ხუთი ათასი ფრ., ომალის გერცოგს — 25,000 ფრანკი.

საზოგადოთ ამბობენ, რომ ცუდმა ტაროსებმა ძალიან დააფთხო პარიჟის ბირჟა და, სხვათა შორის, პური გააძვირაო.

იტალია. ამ ქვეყნის გაზეთებში სწერენ, რომ იტალიის ახლანდელი სამინისტროს თავს-მჯდომარე მინგეტი ბარიბალდის პროექტის სისრულეში მოსაყვანად იმ ფულების (მილიონი ფრანკის) მოხმარებს აპირებსო, რომელიც რომის პაპას ჰქონდა მთავრობისაგან დანიშნული, მაგრამ არ იღებდაო. ეს ფულები მმართველობის მხრით იქნება, და დანარჩენი რაც დასჭირდება ამ საქმეს (ე. ე. რომის ახლო-მახლო ადგილების განაყოფიერებას) თვითონ ბარიბალდი იშოვის კამპანიისა და კერძო ხელის-მოწერის საშუალებით.

ესპანია. კარლისტების არეულობის დამშვიდებას გარდა, ესპანიაში ახლა იმაზედაც ბევრს ლაპარაკობენ, თუ როგორ და როდის უნდა შეიკრიბოს ახალი კორტესები (ხალხის წარმომადგენელთ კრება). ოფიციალური გაზეთები ამბობენ, რომ ამორჩევაში ესპანიის ყველა მოქალაქემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობაო; ლიბერალური გაზეთები კი, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგს ამტკიცებენ, ამა გარდა ამათ ჰსურთ, რომ ჯერ ქალაქებში დაადგინონ მუნიციპალური რჩევები და მერე კორტესების წევრები. ამოარჩიოს ხალხმა. ყოველს შემთხვევაში იმედი აქვთ, რომ ეს საქმე, როგორც იქნება მალე გადაწყდება. იქნება დონ კარლოსის წინააღმდეგაც ბრძოლა მაშინ უკეთ წავიდეს...

ქრონიკა

23

ქართველების პოლიტიკა მამასახლისობის დროს

ჩვენი მამეულე ისტორიკოსები, აგრეთვე უცხო ქვეყნისაცა ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, რომ მე-III საუკუნემდე ქრის. დაბად. წინ საქართველოში ძლიერ მრავალი უცხო ხალხები შემოსულან და დაბინადრებულან ქართველების მიწა-წყალზე.

„ქართლის ცოვრება“ და სხვა ჩვენი მემატიანენი ამბობენ, რომ უცხო ხალხები საქართველოში ერის მართებლობის ნება-დართვით სახლდებოდნენ. ეს უცხო ხალხები არიან: სომხები, ხაზარები, ასურელები, ურიები, ბერძნები, სარკინოზები, სპარსები და ჩინელები. მაგრამ სტრაბონი, პლინი და სხვანი უფრო ბევრს ხალხებს მოიხსენებენ. სტრაბონი ივერიეთის შესახებ ამბობს: „ზღვის ყურეზე, პონტის აღმოსავლეთის კიდეზე მდებარებს დიოსკურია (სუხუმი). აქამომდე ვრცელდებოდა ზღვით მსვლელობა. დიოსკურია შეადგენს დასაწყისს კავკაზ ასპიის ქედისას და ალებმიმცემს ცენტრს ყველა გარემო ტომთათვის. ზოგნი იტყვიან, აქ იკრიბებიანო 70, ზოგნი — 300 ტომნი, რომელნიც სხვა-და-სხვა ენებს ხმარობენ, რადგანაც ცხოვრებენ ველურად ერთი ერთმანერთის დაუმოკიდებელნი (იხ „საქართველო“ გვერდი 72). იმავე მწერლის სიტყვით, უ. დიმ. ბაქრაძე ამბობს, რომ „ალბანიელები (ქახელები) საუბრობენ სხვა და სხვა ენაზე, რომლის რიცხვიც იყო 26 ო — (იხილე იქვე) „ქედეე იგივე ბაქრაძე იმავე წიგნის 93 გვერ. ამბობს: „ლეოდოტის სიტყვით, ქავკაზია შეიცავდა დიდ ძალს ტომთ რიცხვს; ბერძნებისა და რომაელების მწერლები აღრიცხვენ 300-ზე მომატებულს ტომს მხოლოდ იმათ რიცხვში, რომელნიც დიოსკურიაში ჩამოიკრიბებოდნენ. პლინი გვიმოწმებს, რომ იმის დროს რომაელებს აქ 130 მოთარგმნე ჰყოლიათ.“ აგრეთვე დამტკიცებით ამბობენ, რომ პონტიის სამეფოში მრავალი ხალხები სცხოვრებდნენ, რომელნიც სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკობდნენო. და ამისათვის მიტრიდატმა დიდმა მრავალი ენები იცოდაო.

აი ამ უცხო ხალხების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ ჩვენი მატიანეები ამბობენ, რომ მამასახლისობის პერიოდში იმათ ქართველები აქ დასახლების ნებას აძლევდნენ ამისათვისო, რომ ჰსურდათ თავის ტომის გაძლიერება და მით გარეშე მტრისთვის ამათის შემწეობით უფრო ადვილად წინააღმდეგობის გაწევა მძლავრი ხალხებისათვის. ამ განზრახვით ქართველები ასახლებდნენ თავიანთ მიწა-წყალზე ხაზარებს, მე-VII საუკუნეში, ქრის. დაბადების წინ; ამავე ჰზრით ნება მისცეს 608 წელს პერსიდას, როგორც ეუჩვენე მე 10 მოთხრობაში, ოთხი ათასის კაცით საქართველოში დასახლებულ იყო; იგივე ფიქრი ჰქონდათ, როცა მიიღეს წარჩინებული ორბელიანთ გვარი თავის ხალხითურთ, ოდესაც ისინი ჩინეთიდგან ტოლვილნი მოვიდნენ საქართველოში. აგრეთვე ამავე პერიოდში დაასახლეს მცხეთის მახლობლად სარკინეთში 28000 თურქის შთამომავლობის ხალხი; და შეიწყნარეს კიდევ 506 წელს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორისაგან დაწიოკებულნი ებრაელები, რომელნიც დღემდე სცხოვრებენ საქართველოში.

ეს ფაქტები იმას ამტკიცებენ, რომ საქართველოში ამ დროს იყო თავად-აზნაურობითი რესპუბლიკა და ქართველ ხალხს ეჭირა ისეთი პოლიტიკა, რომ საქართველოში ითესებდნენ ყველა უცხო ტომებს, რომელნიც კი ისურვებდნენ იმასთან ცხოვრებას და მეგობრობას.

ამ ხალხების უცხო შთამომავლობას, გვაროობას, დროს და დროს განმავალობაში ქართველობა ჰქელავდა,

აუქმებდა და სისხლით და ხორცით აქართველებდა, და ამ უცხო ტომის სისხლთან თავის სისხლის აღრევით ორივე ტომნი ურთიერთად მშვენიერდებოდნენ და უკეთესდებოდნენ. ახლა დედამიწის ზურგზე ქართველები ირიცხებიან უმშვენიერეს ტომად თავის სახით და აგებულებით.

რადგან ამ დროს კაცობრიობაში არ იყო მოდათ შესული, როგორც ეხლა, ხალხთასნური (ნაციონალური) იდეა, ამისათვის უცხო ხალხები რომ შემოეიზნებოდნენ ქართველებს, მაშინვე სტოვებდნენ თავიანთ ვინაობას, უერთდებოდნენ ქართველებს ენით, სარწმუნოებით და ჩვეულებით. ამისათვის ქართველობა მუდამ მფლობელ ხალხად რჩებოდა საქართველოში. ქართველების სისხლი ისრეთი ძლიერი იყო, რომ ყველა უცხო ტომს ენით და სისხლ-ხორცით იერთებდა. ამაში დიდად ხელს უწყობდა ქართველებს თავისუფალი და კეთილი ცხოვრება. ამითი ბედნიერი ყოფა-ცხოვრება აზიის დაჩაგრულ ხალხების ტომებს საქართველოში დასახლების უმალვე ქართველობა ენატრებოდათ და ამისათვის მალე და ძალ-დაუტანებლად ქართველდებოდნენ.

საქართველოს ერის მართებლობის სტუმართ მოყვარეობითი პოლიტიკისა გამო ქაკაზიის მიწა-წყალზე უცხო ტომის ხალხებიდგან შეიკრიბებოდნენ ხოლმე იმისთანა პირნი, რომელნიც უფრო ნიჭიერნი და შემკობილნი იყვნენ კაცურის სიქველითა, ამისათვის იმათ გაქართველებით ქართველები, უმამთოთაც მამაცნი, ისრე ძლიერდებოდნენ, ისრეთი ვაჟკაცნი გამოდიოდნენ, რომ მათი ვაჟკაცობა, შემმართებლობა და მხნეობა ომში აკვირვებდა აღმოსავლეთის მძლავრებს, და იმათზე აღმოსავლეთის ისტორიკოსები ისრე არ დაიწყებდნენ ლაპარაკს, რომ იმათი მეომრობა ცამდი არ აეწიათ. აი როგორა სწერს ამ დროების შესახებ ბარათაშვილი 61 გვერდზე: „Сборникъ газеты Кавказъ“, 1847 წლისაში:“ ვირგინი, ლორაცი და ლუკანი, თავიანთ დაუვიწყელ თხზულებებში ქართველებს სახაგდენ ამპარტავან და უცხო ტომის ხალხების უწყალოდ მჩაგვრელ ხალხად, და ერთგულ დამცველად თავის სამშობლოს თავისუფლებისა. საქართველოში მხედრობა შეადგენდა ღირსებას თავად-აზნაურობისას, რომელიც ერთგული იყო თავის სამშობლოსი და ჰქონდა სამკვიდროდ საკუთარი დედულ-მამული; სასიამოვნო და უპირველესი ხელობა მოქალაქეებისა ის იყო, რომ სიყმაწვილობიდგანვე მოკიდებული ღრმა მოხუცებულებამდე ეავარჯიშნათ იარაღის ხმარებაში და ცხენზე ცქვიტად ჯდომა სცოდნოდათ.

ოო საუკუნე ნახევრის წინ ქრ. დაბადებამდე საქართველომ დაიპყრო მრავალი მდიდარი ქვეყნები და შეჰკრა ზავი მეზობელ ხალხებსა და უძლიერესს აზიის სახელმწიფოების მეფეებთან; სიმამაცე ქართველებისა და ბრძნული პოლიტიკა იმის მეფეებისა, იცავდა იმის საზღვრებს; ხოლო ძლიერი უფლება ისრე შეუმცნეველად აერთებდა ყველა საქართველოს ნაწილებს სამეფოდ, რომ ხალხი ვერც კი გრძნობდა მძლავრობას. ბარბაროსებრივ საუკუნოებში ქართველები ომობდნენ მიდიის შორეულს ნაწილებში, როგორც ამბობს მოსე ქორენელი პირველ წიგნის მე-28 თავში. ყველა ნათქვამიდან ბოლოს ის გამოდის, რომ მამასახლისობის პერიოდში ქართველებს ჰქონიათ სტუმართ მოყვარეობითი, გაძლიერებისა და თავისუფლების დაცვის პოლიტიკა.

ინგილო ჯანაშვილი

ნარევი

ურთა-სმენა აღარ არის ქალაქის ქუჩებში... სადაც არ გაივლი, ყველგან: „ლაზარე! ლაზარეო!“ ჰყვირიან ქუჩის ბიჭები! სოფლებიდამ ჩამოსული ხალხი, როგორც სჩანს, ამ ყვირილმა მოთმინებიდამ გამოიყვანა: ბუშინ წინ, ერთმა გლეხმა ერთი ამისთანა ლაზარეს მყვირალი ბიჭი დაიჭირა ქუჩაში და ლაზათიანად მიბეგვა.

— რათ სცემო? ჰკითხეს.

— როგორ არა ვსცემო, შეი ჭიიმე! ე მამა ოხრის შვილები, ყვირიან: „ლაზარე! ლაზარეო!“ და აი, წვიმაც არ მოგვეშვა! სულ დავიღუპეთ..

* * *

სამხრეთ საფრანგეთში მოგზაურობის დროს, მაკ-მაჰონთან მივიდა თურმე ერთი გლეხი, მიესალმა და უთხრა:

— ბედნიერად მიგვაჩნია თავი, რომ თქვენა გხედავ!! უეჭველია, უფ. პრეზიდენტო, ბამბეტტასაც თან მოიყვანდით; ძალიან სასიამოვნო იქნებოდა ჩვენთვის იმასთან მუსაიფი.

* * *

ვოლგის მდინარეზე, ერთი მღვდელი თავის ცოლითა და ცოლის-დით მიდიოდნენ სადღაც. ერთ დღეს მღვდელი ხედავს, რომ აღარც იმის ცოლი სჩანს და აღარც ცოლის და. დაუწყეს აქეთ-იქით გაცხარებული ძებნა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ; არც პალუბაზე, არც კიუტაში არ არიან. ბოლოს ფეხის-ადგილს მიადგნენ. ქარები ჩაკეტილი იყო. დაამტვრიეს და ნახეს, რომ ფეხის ადგილის იატაკი და დასაჯდომი ალაგი სულ ჩამტვრეულიყო! დამპალი ყოფილიყო და ორი ადამიანის სიმძიმეს ვერ გაუძლო. მღვდელი დიდხანს იყო თურმე კარებში გაჩერებული; მერე ამოიოხრა და მტირალის ხმით სთქვა:

— ხომ გირჩევდით, დამპალ ფორთოხალს ნუ სჭამთ — მეთქი!

განცხადებანი

კერძო სავაჭო პროგიმნაზია

ქაკაზიის სამასწავლებლო ოლქის ეზრუნველის ნებართვით, კანდიდატი მოსკოვის უნივერსიტეტისა **ბრიგორი ირიცპუხოვი** და ლაზარევის ინსტიტუტის ლიცეიაში კურს-შესრულებული **მანდენ მანდენოვი** ხსნიან თფილისში **კერძო სავაჭო** პროგიმნაზიას იმ განზრახვით, რომ იმპერიის საშუალ სასწავლებლების მე-5 კლასში მოამზადონ ყმაწვილები. ყველა საგნებს იმ პროგრამმით ასწავლიან, როგორიც პროგიმნაზიებისთვის დანიშნულია. ამასთანავე ადგილობრივ ყმაწვილებს თავიანთ მშობლიურ ენებს ასწავლიან.

პროგიმნაზია ამ 1875 წლის 1 სექტემბერს გაიხსნება. ყმაწვილების მიღება კი აგვისტოს 20-ს დაიწყება.

პიროლებები შაგირდების მისაღებად და ფულის გადახდისათვის არიან შემდეგნი:

პანსიონერისთვის საზოგადო კლასებში წელიწადში—250 მან.,

ნახევარ-პანსიონერისათვის—160 მან; იმ ყმაწვილებისათვის, რომელნიც მხოლოთ ივლიან—120 მან.

მოსამზადებელ კლასებში — პანსიონერისათვის—220 მან. წელიწადში, ნახევარ-პანსიონერისათვის — 140 მან. და იმათთვის, ვინც მხოლოთ ივლიან—100 მანეთი. ამას გარდა პანსიონერებმა კრავატისა და საბნისათვის თავიდამვე 13 მან. უნდა შემოიტანონ და ოიგიანი ქვეშსაგები კი თვითონ უნდა მოიტანონ.

ფულები ყველამ ნახევარ-წლობით წინათვე უნდა შემოიტანონ: 1 სექტემბერსა და 1 მარტს.

უფრო დაწვრილებითი პირობები როგორც სწავლის თაობაზე, აგრეთვე შაგირდების მიღებისა ცალკე სასწავლებლის პლანშია მოხსენებული.

ვისაც თავის შვილის ამ ახლად გახსნილს პროგიმნაზიაში შეყვანა და სწავლის პროგრამმის მიღება ჰსურს, ვსთხოვთ შემდეგის ადრესით მიმართონ:

მანდენ სტეფანეს ძეს მანდენოვთან — ბანოვის ქუჩაზე, ლორის-მელიქოვის სახლებში, ანუ ბრიგორ ბაბრიელის ძეს ირიცპუხოვთან — ნაგორნის ქუჩაზე, შიოშ პიტოევის სახლებში.

პროგიმნაზია იმყოფება სოლოლაკში, ნაგორნის ქუჩაზე, ქარლ შმიტის სახლებში. (3—3)

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, ზაფხულობით დილის 8 საათიდამ 10 მდი.

ოო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი ტელიაჩუსი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ოო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ბრაბოვსკი — ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჩუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
ბორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილნ. .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ. სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს. სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში. შეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ერთ წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 4 ივლისს.		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $33^1/_8$ პენსი.	—	84
პარიჟში $349^3/_4$ სანტიმი.	—	89
მსკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	50
მოგებიანი (პირველისესხი)	220	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	219	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	210	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ქაკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 8 ივლისს		
პური შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	4	30
— ამერიკისა, ფუთი. .	6	—
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	—
— თარაქამისა ფთ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქინის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	65
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	75
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	20
— ფხვნილი ფუთი . .	6	80
ყავა გრგვალი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	60
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	5	91

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюля 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.